შაბათი, 6 ნოემბერი, 1904 წ. | 1877 წლიწადი ოც-და-მერვე 1904 | შაბათი, 6 ნოემბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 254 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 254

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

დრმად შეწუხებულნი: პეტრე იაგორის ძე ხანჯალაძე, ეკატერინე იაგორის ასული, სტეფანე და ივანე საველის ძე მანველოვები და სოფიო საველის ასული და გიორგი იოსების ძე შავგულიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ

**მარიამ საველის ასულის ხანჯალაძისას,**

პირველის მეუღლისა, მეორის ასულისა, მესამეთა დისა და მეოთხის ცოლის დისას. ცხედარს ხანჯალაძის სადგომიდან (მიხეილის პროსპექტი, ეჯუბოვის სახლი, № 148) კვირას, 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ვანქის ტაძარში გაასვენებენ და იქიდან ხოჯივანქის სასაფლაოზე. პანაშვიდი შაბათს, საღამოს $6^1/_2$ საათზე. (1—1)

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 5.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 10 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I ახალი პიესა **ივდითი** ტრაგ. 5 მოქმ., თხზ. ჯიაკომეტისა, თარგ. ი. მაჩაბლიანისა.

II ახალი პიესა **ნაპერწკალი** კომედ. 2 მოქმ., თხზ. პალიერონისა, თარგ. ა. ახნაზაროვისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ნატალია მესხი, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვალ. გუნია, ივანიძე, საფაროვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, წუწუნავა და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. — **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

შაბათს, 6 ნოემბერს,

პირველად საიმპერატ. თეატრის მსახიობის ქ-ნ მ. ა. ეიხენვალდის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ეიხენვალდი, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა, და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

კვირას, 7 ნოემბერს,

წარმოდგენილი იქნება

I

M-lle **ფიფი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

II

**პაიაცები**

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

ორშაბათს, 8 ნოემბერს,

ა. გ. რუბინშტეინის გარდაცვალების დღიდგან ათის წლის შესრულების გამო, ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქმნება

**ნერონი**

მუსიკა რუბინშტეინისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «ფენელლი», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიკოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ვ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაერბინინა.** $1^1/_2—2$ საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2—8$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ხ. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

ცოცხალია თუ არა გენერალი კუროკი? საკვირველი ხასიათი დასჩემდათ კორესპონდენტებს. იჩენს თუ არა რომელიმე იაპონელი მეომარი თავს, მაშინათვე შეუჩნდებიან კორესპონდენტები და სულ პირში შეჰყურებენ—აბა, სუნთქავს ისევ, თუ პატრონს ჩაჰბარებიანო. მოკიდებული 18 აპრილიდან, როდესაც გენერალმა კუროკიმ 8 საათის განმავლობაში შეასრულა ისეთი საქმე, რომლისთვისაც მცოდნე კაცებმა დაუნიშნეს თითქმის რვა თვის ვადა, ე. ი. გადმოიყვანა თუ არა თავისი არმია მდინარე იალუზე, იქიდამ დაწყებული დღემდე მოსდევენ კორესპონდენტები და ვერ იქნა, ვერ მოჰკლეს ეს კაცი. აპრილის გასულს ისეთი ყვანა შეჰყარეს, რომ დღე-დღეზე ველოდით—გათავდება ეს სარდალიო და ვნახავთ, ვისღა გამოიყვანენ იაპონელები სათავეშიო. ყვანამ ვერ გსჭრა, ადგნენ და რაღაც «ბერი-ბერი» დაჰმართეს. ამითაც რომ ვერ მოერივნენ, ხოლერა შეჰყარეს, მაგრამ კუროკი მაინც თვისას არ იშლიდა. კორესპონდენტებმა მაინც არ მოუსვენეს, ლოთობა დააწყებინეს: კუროკი მუდამ დღე გალოთებულია და ტახტრევანით გადაჰყავთ ადგილიდამ ადგილზეო. გვეგონა, ეს არის, ჩაიხრჩობს კაცი თავს ღვინოში და, აბა, რა სამსახურს გაუწევს მაგისთანა ლოთი ჯარებსაო. კუროკი მაინც მაგრობდა, ლიაოიანამდე მოაღწია სული. დღეს ორი კორესპონდენტი ერთის გაზეთისა—«რუსსკოე სლოვო»-სი,—დეპეშით იტყობინება, რომ კუროკის 21 სეკდემბერს მოჰხვედრია ყუმბარის ნატეხი, რომელსაც გამოუგლეჯია მისთვის მუცელი და დაუფლეთია გული. აბა, ამის შემდეგ როგორღა უნ-და ეცოცხლა ამ ჭირვეულ კაცს? ეხლა თურმე მისი ჯარები მარშალ ნოძუსთვის ჩაუბარებიათ. ეს ნოძუც კი თვალში ჰყავნდათ ამოღებული კორესპონდენტებს. იგი დაალრჩვეს ზღვაში, ვიდრე ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს დაინახავდა, გაზაფხულზედვე. მას თან გააყოლეს ოიამა, კოდამა და თვით ადმირალი ტოგოც კი. მართალია, სარდლები არ აკლიათ იაპონელებს, მაგრამ ასეთის დამსახურებულ სარდლის სიკვდილი, როგორიც კუროკია, ძძით შეჰმოსავდა მთელს იაპონიის ხალხს, და ნუ თუ თვე-ნახევარზე ქვეყანა ვერ შეიტყობდა ამ ამბავს?!. (რ. ს.).

—

**განოტოს აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.** საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ყოფილი ბ-ნი განოტო აი რასა სწერს გაზეთ «ჟურნალ»-ში ეხლანდელ ომის შესახებ: «საჭიროა ომი, რაც შეიძლება, მალე გათავდეს, რადგანაც გამარჯვება ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით არც ერთს მხარეს არ დარჩება. ორთავე მხარე მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ იბრძვის და ღვრის სისხლს. საჭიროა, რომ ეხლავე იქმნას მიღებული შესაფერი ღონისძიებანი მებრძოლ ერის შესარიგებლადაო. ბ-ნს სუვორინს არ მოსწონს განოტოს ასეთი აზრი და ამბობს, რომ ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს მინისტრად ყოფილის გულწრფელობაში, რომლის დროსაც განმტკიცდა რუს-ფრანგთა კავშირი, როდესაც რუსებზე ასე ლაპარაკობს, მაგრამ თავდაპირველად სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ბ-ნი განოტო მსჯელობს არა როგორც რუსი, არამედ როგორც ფრანგი და მისი სიტყვები ზავის ჩამოგდების შესახებ უმთავრესად სასურველია ევროპისათვის და არა რუსეთისათვის. რადგანაც მთელის რვა თვის განმავლობაში ვერც ერთმა მებრძოლმა მხარემ ვერ გაიმარჯვა და ვერ დაამარცხა მოპირდაპირე მტერი, რადგანაც არ არსებობენ დამარცხებულნი და თავ-მოყვარეობა-შელახულნი, განოტოს აზრით, ეხლა სულ ადვილია ზავზე ლაპარაკის ჩამოგდება. ვიდრე ეს ომი იფეთქებდა, რუსეთი აი რა წინადადებას აძლევდა იაპონიას: კორეის სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში იაპონიას შეეძლო ჰქონოდა განსაზღვრული პოლიტიკური გავლენა, ხოლო მანჯურიის საქმეებზე კი ხელი უნდა აელო. იაპონის მთავრობა კი ასეთს წინადადებას აძლევდა რუსეთს: კორეიაში სრული უფლება მე მეკუთვნის, ხოლო მანჯურიაში საქმეების მართვა-გამგეობაში თანასწორი უფლება უნდა გვქონდესო. ამან გამოიწვია ეს ომი, მაგრამ ამითი საქმეთა ნამდვილი მდგომარეობა ოდნავაც არ შეიცვალა და არც ერთს მათგანს არ მიუღწევია ზემო აღნიშნულ საწადელამდე. მაშ რად უნდა გაგრძელდეს ეს ომი და არ უნდა შეეცადნენ მისს მოსპობას?! ასე ჰფიქრობს ბ-ნი განოტო, რომელიც რუსების მხოლოდ მეგობარია და არა ნამდვილი რუსიო, დასძენს სუვორინი,—და თანაც ამბობს, რომ ვიდრე რუსეთი თავისას არ გაიტანს, ე. ი. არ განდევნის სრულიად იაპონიის ჯარს მანჯურიიდგან, ზავზე ლაპარაკის ჩამოგდება მეტია. ომი გათავდება და გათავდება უეჭველად რუსეთის გამარჯვებითაო. (ნ. ვ.).

—

**როგორა აქვს ტოგოს ალყა შემორტყმული.** კორესპონდენტი ჯორჯ კენანი სწერს, რომ ადმირალის ტოგოს ფლოტი გულ-დამშვიდებით სდგას ელიოტის კუნძულების ნავთსადგურში, 60 მილის მანძილზედ პორტ-არტურიდან, და იქიდან ადევნებს თვალ-ყურს პორტ-არტურის რუსთა ესკადრასაო. ოთხის წლის წინად, რასაკვირველია, ასე ალყის შემორტყმა შეუძლებელი იყო, მაგრამ ახლა, რაკი უმავთულო ტელეგრაფია მოგონილი, შეატყობინებენ თუ არა ტოგოს, ფლოტი მოგვაშველეო, ის უცებ დაიბადება პორტ-არტურის მახლობლად და მზადაა ბრძოლა დაიწყოს. ასე ზღვიდან ციხის გარშემოდგომას ისიც უწყობს ხელს, რომ პორტ არტურის ნავთსადგურს ვიწრო გამოსასვლელი აქვს. ვიდრე იქიდან სათითაოდ გამოლაგდებიან რუსთა ესკადრის გემები, ვიდრე დაეწყობიან და დაერაზმებიან, ტოგო უკვე დიდის ხნის მისულია და კრიჭაში უდგას გამოსულ ზღვაზე გამოსულთ. (რუს. ინვ.).

—

**ვიკონტ გაიაშის საუბარი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.** გაზეთ „Matin"-ის თანამშრომელს ამას წინად დიდი საუბარი ჰქონია ვიკონტ გაიაშისთან, რომელიც ლონდონში იაპონიის მთავრობის წარმომადგენლად ითვლება. ტყუილიაო,—უთქვამს, სხვათაშორის, გაიაშის,—ვითომც იაპონია მოხარული იყოს ამ ომისა. ჩვენ სრულებით არ გვსურდა სამხედრო მოქმედების დაწყება, ჩვენ გვაიძულა რუსეთის მთავრობამ ასე მოვქცეულიყავით და, ვიდრე რუსეთი არ შესცვლის ეხლანდელს პროგრამას, ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ. შეგიძლიან დაგარწმუნოთ რომ ჩვენის მხრით ზავის ჩამოგდების შესახებ კრინტიც კი არ იქმნება დაძრული". პორტ-არტურის შესახებ გაიაშის უთქვამს: «ავიღებთ თუ არა პორტ-არტურს ხვალ, ან ერთის თვის შემდეგ, ამის თქმა ეხლა შეუძლებელია, მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ მოსპობს ჩემში იმ აღფრთოვანებას, რომელსაც მე პირადათ გენერალ «სტესელისადმი ვგრძნობ».

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" გუშინდელ ომის ამბებში, მეორე სვეტზედ, ჯარების რაოდენობათა შესახებ, ბოლოში შეცდომით სწერია «ოთხკუთხი სიგრძეც», უნდა იყოს «ოთხკუთხი სივრცეც».

## ახალი ამბავი

—

«ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ბ-ნთ ზუბალაშვილების შემოწირულების გამო დაადგინა: 1) უგულითადესი მადლობა გამოეცხადოს საზოგადოების სახელით შემომწირველთ; 2) მოხსენდეს მომავალ საზოგადო კრებას ეს შემოწირულება და ეთხოვოს, რომ შემომწირველნი არჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად და 3) განსვენებულ სტეფანე კონსტ. ძის ზუბალაშვილის სურათი, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, გამოკიდებულ იქმნას საზოგადოების დარბაზში. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა, თანახმად შემომწირველთა სურვილისა, შემოწირული ფული შენახულ იქმნას ხელ-უხლებელ თანხად და მხოლოდ სარგებელი მოხმარდეს «საზოგადოების» საჭიროებას. თუ ვინიცობაა «საზოგადოებამ» გააუქმა მოქმედება, ხსენებული 10,000 მან. გადაეცემა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას იმ პირობით, რომ სარგებელი მოახმაროს ქართველ ბავშვების აღზრდა-განათლებას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა.

*** **საზოგადო განათლების კურსები ტფილისში.** დღეს, შაბათს, 6 ნოემბერს, საზოგადო განათლების კურსებზედ წაკითხულ იქმნება ლექცია საერთაშორისო უფლებაზედ. ლექციას წაიკითხავს ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი კ. ვ. ვერხოვსკი. ეს ლექცია მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ ომიანობის დროს დიდი ინტერესი აქვს საერთაშორისო უფლებას.

*** **ელექტრონის ტრამვაი.** ორშაბათს, 8 ნოემბერს, ბელგიის უსახელო საზოგადოების ტრამვაის ვაგონები ელექტრონით მოძრაობას დაიწყებს მიხეილის პროსპექტიდგან სადოვისა, ელისაბედისა და ვაგზლის ქუჩებზედ და შეასწავლიან მემანქანეთ, თუ როგორ უნდა ამოძრაონ ვაგონები და მოაწესრიგონ მათი მიმოსვლა. უსახელო საზოგადოების ტრამვაის ელექტრონის უმთავრესი სადგური ამ ჟამად სულ მზად არის და ყველა მანქანები მუშაობს. გუშინ, 5 ნოემბერს, უსახელო საზოგადოების დირექტორმა მ. პ. გრიმანისმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორისა და ქალაქის გამგეობის წინაშე, ნება დაგვრთეთ, რომ ელექტრონის ძალა ავამოძრავოთ სადოვისა, ელისაბედისა და ვაგზლის ქუჩებზედ დაგებულ ლიანდაგებზეო და სანიმუშო ვაგონების ელექტრონით მოძრაობა დავიწყოთო.

*** **მაზუთის მილი ელექტრონის ვაგონებისათვის.** ბელგიის უსახელო საზოგადოება სთხოვს ქალაქს, ნება მომეცი გავიყვანო მაზუთის მილი რკინის გზის სად-

გურიდგან ელექტრონის სადგურამდეო. ქალაქმა მოსთხოვა საზოგადოებას, წარუდგინოს დაწვრილებით შედგენილი პროექტი მაზუთის მილისა და ამასთანავე ხარჯთ აღრიცხვაცა.

*** **ნავთლუღის სადგურის გაფართოება.** რკინის გზის მმართველობას უნდა გააფართოვოს სადგური «ნავთლუღი». ტფილისის ქალაქის საბჭო 8 ნოემბერს განიხილავს ამ საგანს და შეადგენს იმ მამულების სიას, რომელიც დასჭირდება ამ გაფართოვებას.

*** **ექიმი ა. ი. ხატისოვი** ახლო მომავალში წარუდგენს მოხსენებას კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას. ეს მოხსენება შეეხება ნავთლუღში საავადმყოფოს დაარსების პროექტს და არამიანცისა და ძმათა ზუბალაშვილთაგან შეწირულ ფულით საქალაქო ვრცელ საავადმყოფოს დაარსებას. ამ საავადმყოფოში უნდა იყოს ტერაპევტიული და საბავშო ავადმყოფობათა განყოფილებანი.

*** **ჭავჭავაძის მემკვიდრეთა დავა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, თავ. დიმიტრი ჭავჭავაძემ კავკასიის სამოსწავლო ოლქს უანდერძა 400,000 მანეთი, რომლის გამოც დავა ასტყდა სამოსწავლო უწყებასა და მემკვიდრეთა შორის. თავ. ჭავჭავაძემ ეს ფული სამოსწავლო უწყებას დაუტოვა თავ. ჭავჭავაძეთა და სხვათა შვილების აღსაზრდელად. მემკვიდრეებმა განაცხადეს, განსვენებული ანდერძის წერის დროს სრულს ჭკუაზე არ იყოო. ეს დავა, ათი წელიწადი იქნება, რაც ერთ ინსტანციიდან მეორეში გადადიოდა. ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატამ ეს საქმე მოსპო, რადგანაც მოდავენი შერიგებულან. როგორც ამბობენ, თავ. ჭავჭავაძის მემკვიდრეთ მიუღიათ ამ თანხიდან ორასი ათასი მანეთი და სარგებელიც 15,000 მანეთამდე.

*** **ხოლერა.** 2 ნოემბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 2 კაცი, ხოლო არავინ მომკვდარა.

*** **ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.** 3 ნოემბერს ერევნიდან მომავალ სამგზავრო მატარებელზედ აღმოაჩინეს ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. ის ვაგონი, რომელშიაც ავადმყოფი იმყოფებოდა, დაუყოვნებლივ ჩამოხსნეს მატარებელს და სად. ყარაკლისზედ დასტოვეს.

*** **ჯარში გაწვეულთა შემოწმება.** ტფ. საქალაქო სამხედრო ბეგრის საკრებულომ 4 ნოებერს გასინჯა ჯარში გაწვეულთა შემოწმების აქტები, სამხედრო საავადმყოფოს მიერ გამოგზავნილი. სულ საავადმყოფომ საკრებულოს გამოუგზავნა 20 შემოწმებული აქტი. როგორც ამ აქტებიდგანა სჩანს, 20 ყმაწვილთაგან, რომელთაც წელს ამოიღეს კენჭი, სამსახურისათვის გამომდგარა მხოლოდ 5 კაცი. 3 ნოემბერს საკრებულოში ექიმების შესამოწმებლად არავინ გამოცხადებულა, ხოლო 4 ნოემბერს გამოცხადდა ერთი ახლად კენჭ-ნარგები, რომელიც სამხედრო საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი გამოსაცდელად.

*** **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** აცნობა სახაზინო პალატას, რომ ქალაქის უძრავ მამულებიდგან ამ 1904 წელს ხაზინას ერგება: სახელმწიფო გარდასახადი —123,213 მან. 87 კაპ., საერობო ხარჯი—123,046 მან. 01 კაპ.; ამ გარდასახადთა ასაკრები ხარჯია 4,000 მ.

*** **ახალი კალენდარი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული კალენდარი 1905 წლისა, შედგენილი და გამოცემული გრ. ჩარკვიანის მიერ. კალენდარი სუფთად არის დაბეჭდილი.

*** **დ. შიათურიდგან გვწერენ:** „23 ოკდომბერს, როდესაც ქუთაისიდან ჩამოსული ქვრივი მარიამ სტეფანოვისა გზაზე მიდიოდა ორის მხლებელით, უცებ ამოღებულის ხანჯლით თავს დაეცა ადგილობრივი მცხოვრები ყ. აბდ—შვილი და მოსთხოვა ფული. როცა სტეფანოვისამ უარი უთხრა, აბდუშელიშვილმა ათს ალაგას მძიმედ დასჭრა, შემდეგ წაართვა 14 მანეთი და სხვა საბუთის ქაღალდები, რომელიც მიწების საქმეს შეეხებოდა, და გაიქცა. აბდ—შვილი დღესაც არ არის დაჭერილი. როგორც ამბობენ, სტეფანოვისას დავა ჰქონია აბაშიძეებთან და სხვებთან მიწების თაობაზედ და მიზეზი ამ ბოროტ-მოქმედებისა ეს უნდა იყოსო“.

*** **მოგვივიდა** «შრომანი შავი-ქვის მრეწველთა მე-VI საგანგებო კრებისა ქ. ქუთაისში», 15-დგან 18 მარტამდე ამ 1904 წლისა («Труды VI-го экстреннаго съѣзда марганцепромышленниковъ въ гор. Кутаисѣ. Съ 15-го по 18-е марта 1904 года“). ამ წიგნში მრავალი საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი მარგანეცის მრეწველობის შესახებ.

## ჩვენებური რამე-რუმე

—

წიგნის დევნა იგივე აზრის დევნაა. ხოლო დევნულება აზრისა, ამა თუ იმ მოძღვრებისა, სასურველს ნაყოფს ვერ მოიტანს თავის დღეში. მდევნელი ვერ მოსპობს ვერც წიგნს, ვერც აზრსა და მოძღვრებას. ქრისტეანობამ სასტიკი და ულმობელი დევნა გამოიარა, სისხლი ნაკადულებრ იღვრებოდა, მაგრამ მაინც მდევნელნი ვერას გახდნენ, ქრისტეანობამ სძლია ყოველივე დაბრკოლება, აღორძინდა, გაძლიერდა, დასთრგუნა და სულ მოსპო წარმართობა. მერე რითი? თვისის შინაგანის ძლევა-მოსილებით, თვითმოძღვრების ძლიერებით, სულის სიმტკიცით. არც მახვილი, არც რიცხვ-სიმრავლე, არცა რამ ნივთიერი ძალა ამისათვის არ უხმარნია.

ასევეა წიგნიცა. წიგნიც იგივე აზრია, იგივე მოძღვრებაა და, რაც უფრო გულს მოსახვედრია და სასარგებლო მოძღვრება სულისა და ხორცისათვის, მით უფრო მეტი გასავალი აქვს წიგნს, მით უფრო მეტს ბაზარს შოულობს და, როგორც სახარება, ისიც სიწმინდითა და უძლეველობით იმოსება. ვერც მუქარით, ვერც შეშინებით ვერ მოაშლევინებთ ახალის აზრების ადეპტებს, ახალის წიგნისა და მოძღვრების თაყვანის-მცემელთ, ხელი აიღონ იმაზედ, რაც ღრმად გულს ჩასწვდენიათ, რაც შეუყვარებიათ და შეუსისხლ-ხორცებიათ «ყოვლითა სულითა და ყოვლითა გულითა».

ეს ითქმის მხოლოდ იმისთანა წიგნებზედა და იმისთანა მოძღვრებაზედ, რომელსაც დიდი ღირსება აქვს და რომელიც მოსწონს საზოგადოების უკეთესსა და შეგნებულს ნაწილს.

მაგრამ ისიც-კი უნდა ითქვას, რომ არც მდარე წიგნი და მოძღვრებაა დასაბრკოლებელი და სადევნელი. სპენსერის თქმისა არ იყოს, არ არის ქვეყანაზედ ისეთი სულ უმნიშვნელო წიგნი, რომ იმის წაკითხვით ადამიანმა, თუ-კი ჩაკვირვებით წაიკითხავს, სარგებლობა რამ არ შეიძინოს.

მეორეცა,—წიგნისა და აზრის დაბრკოლება სხვაფრივაც არ არის სასარგებლო. ვინ არის განა თავმდები, რომ სწორედ ისეთს აზრსა და წიგნს არ დავაბრკოლებთ, რომელიც დღეს ჩვენ არ გვეყურება, ვერ შეგვინია, სისულელედ მიგვაჩნია, ხოლო ხვალ შესაძლოა ყოვლად სასარგებლო აღმოჩნდეს. ამისი მაგალითები ათასია ისტორიაში. გალილეი დასაჯეს, რად ამბობ, რომ დედა-მიწა ჰბრუნავს და არა სდგასო. ისევე მოექცნენ ჯიორდანო ბრუნოს, გარვეის და მრავალს სხვას.

აზრი, ფიქრი, სწავლა, მოძღვრება, აღნიშნული და განმარტებული წიგნში, იგივე სულია ადამიანისა და სულზედ ძალა ვით მიიტანების?! სულს ვერას დააკლებს ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი და ვერც ნავთი, არა-რა ძალას არ ხელ-ეწიფების შემუსვრა სულისა, ხოლო ხორცის მოკვდინება და შემუსვრა ყოველის ნივთიერის ძალისათვის ფრიად ადვილია.

ამიტომ ამაოდ გაირჯება ყველა, ვინც მოისურვებს ამა თუ იმ წიგნის განდევნას, მოსპობას. ერთის კარიდან განდევნილი მეორე კარიდან შემოვა. ფამუსოვი სასაცილო იმიტომ იყო, რომ წიგნების დაწვას ნატრობდა; წიგნების განადგურება მიაჩნდა ყოვლის მხსნელ იარაღად, ლიბერალობის გასანადგურებლად.

აზრისა და წიგნის დევნულობით შეიძლება მხოლოდ რამდენისამე ხნით დააბრკოლოთ საქმე, დააბნელოთ არე-მარე, არ შეუშვათ სინათლე ოთახში, ხოლო დიდხანს ასეთი ყოფა ვერ გასტანს: იძულებული იქნებით ოთახის კარები გააღოთ, წმინდა ჰაერი და სინათლე შეუშვათ, გაამზეოთ, რათა თავიდან აიცილოთ სიბნელეში გამრავლებული ბაცილები,—ეს მიზეზები მრავალ-გვარის სნეულობისა და ავადობისა.

წიგნის დაბრკოლება, აზრების გავრცელების შეზღუდვა, მათ შორის ქიშპობისა და ბრძოლის მოსპობა სიბნელის დამყარების ნიშანია, ცეცხლის ნაცარში დაფლვაა. დამალული, ნაცარ-წაყრილი ცეცხლი უფრო საშიშია, ვიდრე ცხადად და აშკარად ანთებული.

წიგნს, აზრს ფართო გზა უნდა მიეცეს და, თუ არ მოგვწონს, ჩვენი წიგნი და აზრი უნდა დავუმხარდამხაროთ, გვერდში ამოვუყენოთ.

ესე ყოველივე ტრუიზმებია, აქსიომად გადაქცეული და ბევრგან ევროპაში ხორცშესხმული ამბავია ცხოვრებისა. ხოლო ზოგან კი, სამწუხაროდ, ასე არ არის...

ბ. ფ.

—

## სამშობლოს გარე

### II

### გაცრუებული იმედები

კიევი, 17 ოკდომბერი.

როგორის გულის ძგერით ადევნებ თვალს აქედან ჩვენის საზოგადოების ზრდას, ყოველ-გვარ ცვლილებას! როგორის აღტაცებით ეგებები ჩვენის ცხოვრების ჰორიზონტზე ამობრწყინებულ ყოველ ვარსკვლავს და შორიდან აძლევ სიყვარულით სავსე სალამს!..

განა ცოტა ვარსკვლავს გადმოურტყოცნია ჩვენკენ ცხოველმყოფელი, გამამხნევებელი და წინწამწევი სხივები?!. იმ ვარსკვლავთა სხივნი დღესაც გზას გვინათებენ, დღესაც ამოძრავებენ ჩვენის ცხოვრების ძარღვებს. იმათი ხსენება-სამარადისოა.

ის ვარსკვლავნი სიკვდილამდის იყვნენ «იგივ მხნე, იგივ მღერალნი», ენერგიულნი მუშაკნი, დაუღალავნი საზოგადო მოღვაწენი. იმათის წყალობით გამოწვეული იმედები განხორციელებას არ იყო მოკლებული.

დიაღ, ეს აგრე იყო... ჩვენის საზოგადოების სხივ-მფენი ვარსკვლავნი უცხოეთში, სახლ-გარე, ივსებოდენ საჭირო სინათლის ძალით და ისე მიდიოდნენ თავიანთ ქვეყანაში, სადაც პირველ დღიდან ყველას ზე აღმაფრენ იმედებით უვსებდენ გულს. იმედებიც არ ცრუვდებოდა.

ეს იყო... დღეს-კი, სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით.

აქ ახალგაზდობა არ ემზადება ისე, როგორც უნდა ემზადებოდეს. აქედან ახალგაზდობას არ მოაქვს მანდ მოუსყიდველი გულწრფელობა და გონებრივი რიგიანი საამდღეო მომზადება. ვინც მომზადებული გვგონია, ისიც არ არის საჭირო ცოდნით აღჭურვილი.

ეს არა-ნორმალური მდგომარეობა-კი გვიტოვებს გაცრუებულ იმედებს.

ვინ იცის, ვის არ მოუცია ჩვენთვის საუცხოვო იმედი: ახალგაზდა მგოსანს, ახალგაზდა-მწერალ-ბელეტრისტს, ახალგაზდა პუბლიცისტს, ახალგაზდა მსახიობს, სწავლულს, სტუდენტს და სხვებს... მერმე გამართლებულა იმედები?...

ეჰ, ღმერთო, რა ტკბილ ოცნებად დარჩა ის ვითომდა სანუგეშო ფიქრი და გრძნობა!

ახალგაზდა, როდესაც აქ ან საზღვარ-გარედ სწავლობდა, თვის ნიჭით და აზრით

# ფელეტონი

—

## სადღეისოდ.

სახარების სწავლა და სომხის საზოგადოების გულგრილობა.—სასულიერო არარატისა და საერო მშაკის აზრი ამის გამო.—ბერნარდე პატრი და ქართველთ სარწმუნოებრივი მდგომარეობა XVII საუკ.—სომეხ-კათოლიკეთა სემინარია ტფილისში და ქართველ-კათოლიკეთა აღსარება.—ქართულ საეკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა და მხატვრობის დაცვა და გავრცელება, როგორც ღონის-ძიება, ჩვენის ვინაობის განმამტკიცებელი.—რათ არის ქართველი თვალ-ტანადი და რა წილი უძევს ქართველთა ფიზიკურ აღზრდას და თვით ბუნებას ამ საქმეში?—ქართველთ მოღვაწეთა მოქმედებას ნუ თუ არ უნდა დასდევდეს მადლი ისევე, როგორც ქართველთ ფიზიკურ აგებულებას?

არარატი, მოგეხსენებათ, ნოეს კიდობნის მტვირთველი იყო, მაშასადამე, პირველი სამკვიდრო იმ სახლობისა, რომლის შვილები ღირს იქმნენ რჩეულად ღვთისა წოდებულიყვნენ და ქვეყნისთვის მაცხოვარი მიეცათ.

თუმცა ამ მთას, რომელიც იყო იგივე ური ქალდისა, ნოეს შთამომავალი აბრაამ თავისი ერითურთ მოშორდა ქანაანს გახიზვნით და ამ რიგად ღვთის სიტყვა ძველის აღთქმისა თითქოს თან გაჰყვაო, მაგრამ მადლიანი ნიადაგი მისი კვლავ განემზადა, ყურად ეღო ღვთის სიტყვა ახალის აღთქმისა და სომხეთის ეკკლესიის მოძღვართა პირით გამხდარიყო მქადაგებელი ახალის მოძღვრებისა, რომელიც იმავე დროს გაისმოდა ქართლშიაც, სომხეთისათვის ვრასტანში, ანუ ურის ქვეყანაში.

ამიტომ არ ეძრახვის, სომხის სამღვდელოების სასულიერო ორგანო არარატიც ღვთის სიტყვის გავცელებას იყოს მოწადინებული ეჩმიაძინის სამწყსო მრევლთა შორის, მაგრამ აწინდელი ერის,—გულის ხმა ჰყავ, სომხის საზოგადოების,—გულგრილობას მეტად დაუღონებია და ჩივის, ჩვენმა ახალ-გაზდობამ მთლად ისტორია იცის, ძველი, თუ ახალი, მაგრამ სახარება კი არა; ყოველ ჩვენებურ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მოეპოვება სამშობლო მწერლების თხზულება, მაგრამ სახარება კი არა, რადგანაც არავინ დაეძებს შეიწავლოს და გამოიყენოს ის დედააზრები, რომელსაც ეს წმინდა წიგნი შეიცავს, მაგრამ ცოდვის გადიდება კიდევ უფრო ის არის, რომ ჩვენი სასულიერო მამებიც აღარ დასდევენ სახარების შესწავლას და ჯერდებიან მარტო საეკკლესიო ღვთის-მსახურების წესთა ცოდნასაო.

სომხურმა გაზეთმა «მშაკმა» (№ 230) ეჩმიაძინის სასულიერო ორგანოს ჩივილი, რომელიც ზემოდ დაახლოვებით აღვნიშნეთ, აუწყა თავის მკითხველებს და დასძინა, თუ საზოგადოება არ ეტანება სახარებას, იმის ბრალია, რომ მისი ენა დღეს მოძველებულია და ხალხს აღარ ესმის, ამიტომ საჭიროა, სახალხო ენით ითარგმნოს, ხოლო სამღვდელოების მიმართ საყვედური ნამდვილი თავის გამართლება გახლავსო.

პატივცემულ გაზეთს ვერ დავეთანხმებით, სახარების სახალხო ენით თარგმნამ ამ წმინდა წიგნს მკითხველი გაუმრავლოს, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, ევროპის აწინდელ ხალხებს ყველას მდაბიურად აქვს ნათარგმნი სახარება, მაგრამ საწუთრო, სახორციელო მწერლობას უფრო ეტანებიან, ვიდრე სახარების კითხვას. ინგლისი, სადაც შექსპირიცა და სახარებაც თითქმის ყველასგან ერთნაირის ინტერესით იკითხება, მაგალითად მოსატანი არ არის. ჩვენს მამულში რაღა, ვხედავთ? ქართული საღვთო წერილი სომხურთან შედარებით უფრო მდაბიურად არის ნათარგმნი, მაგრამ ჯერ კიდევ ბერნარდე პატრი, რომელმაც XVII საუკუნეში ქართულად შეადგინა კათოლიკე სარწმუნოებისთვის ერთი წიგნი, მის წინასიტყვაობად სწერდა, ქართველები თუმცა ძლიერ გონიერნი და კეთილმოყვარენი არიან, გარნა სულიერ საგნებში უსწავლელნი, კათოლიკე სარწმუნოების თაობაზე ცრუ აზრები აქვსთ ჩაგონებული, არ უყვარსთ მოსმენა-დარიგება და უფრო ეხალისებათ ბეჟანიანის, ბარამიანის, როსტომიანის და მათი მსგავსი წიგნების კითხვაო. (იხ. მ. თამარაშვილის პასუხად სომხის მწერლებს გვ. 11). არარატის ჩივილი, ჩვენის აზრით, მომასწავებელია იმისი, რომ სომხის საზოგადოებას გული აყრია საღვთო წიგნების კითხვაზე და დაუწყია ლტოლვა სამღვდელოთაგან. მაგრამ დავიჯეროთ გაუზნეურდეს, თუ რაფის და სხვა სამშობლო მწერლების კითხვას მოჰყოლია? ნუ თუ ეს მწერლები უზნეობას ასწავლიან? არა, ისე, როგორც ბეჟანიანი, ბარამიანი, როსტომიანი, ბერნარდე პატრის ჩამოთვლილი, და აგრეთვე ვეფხის ტყაოსანი და ყარამანიანი არ ასწავლიდნენ და არც ეხლა ასწავლიან უზნეობას. ზნეობა ძველად ქრისტიანე ერთა შორის მარტო საღვთო წერილით ისწავლებოდა, მაგრამ შემდეგში ეს სამსახური თავს იდვა სხვა და სხვა სახით იმ მწერლობამ, რომელიც მოჰყვა საღვთო წერილის თარგმნას. ეხლა ხომ ისეთი ზნეობაც დაიბადა, რომელიც არსებობს საღვთო წერილის გარეშე და პირდაპირ მეცნიერებიდან გამომდინარებს.

***

იმავე სომხურმა გაზეთმა გვაუწყა, ტფილისში სასულიერო სემინარია არსდება სომეხ-კათოლიკეთათვის, რომელთა რიცხვი ოცდა ათი ათასს აღემატებაო. მოვაგონებთ პატივცემულ გაზეთს, რომ ტირასპოლის ეპისკოპოსის უწყებაში მყოფ კათოლიკეთა შორის არიან ახალციხის მაზრაში სომხის-კათოლიკენი, მაგრამ თესლ-ტომობით ქართველნი, რომელნიც დიდი ხანია შესჩივოდნენ ცას და ქვეყანას თავიანთ ზნეობრივ-სულიერ გაჭირვებას უცხო და გაუგებარი სომხური ენით ღვთის ვედრებისა გამო და აი სწორეთ გადაგვარებისაგან მათ დასახსნელად გამოსულა ისეთი განკარგულება, რომლის ძალითაც იმათ ნება ეძლევათ სომხის წესიდან გადვიდნენ რომის კათოლიკობის წესზე; ხოლო ამ წესს უფრო უშიშრად შეაფარებენ თავს და სახარება-სამოციქულოს და ლოცვების მოსმენა მაინც შეეძლებათ ქართულად, რასაც სომხის წესის კათოლიკობა მკაცრად უკრძალავს.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერობის გასამტკიცებლად ამ ჟამად სარწმუნოება ყოვლად სუსტი მოქმედთაგანია და წყალწაღებული ერი თუ ჩასჭიდებს ხელსა, ისეთი, რომელსაც ჟამთა უკუღმართობის წყალობით სხვა უფრო საიმედო საერო საუნჯენი დაუკარგავს, როგორც, მაგ., ენა, მიწა-წყალი და სხვა, მაგრამ მოღვაწე სომხის მამულიშვილები, მეტადრე ტერტერიან-აზგასერები, არა თუ თავს აფარებენ ამ სარწმუნოებას, არამედ, პირიქით, იმასაც კი სთვლიან სომხად, ვისაც შემთხვევით გრიგორიანობა, ან კათოლიკობა მიუღიათ, როგორც, მაგალითად, ქართველთა ერის ერთ ნაწილსა, და ანგარიშს არ უწევენ მათ ღაღადსა, კარგად გამოთქმულს მამა თამარაშვილისაგან იმავე წიგნში (გვ. 5): «ჩვენ, საქართველოს კათოლიკენი, გვმბობთ და ადვიარებთ, რომ ქართველნი ვართ, რადგან ქართველი დედმამისაგან ვშობილვართ. ამიტომ ჩვენს არსებაში ვგრძნობთ ჩვენს ქართველობას, ქართველის სისხლსა და ხორცს; ამის უარყოფა არ შეგვიძლია და ვერ ადვიარებთ ჩვენს თავს სომხად, რადგანაც ჩვენს არსებაში სომხობისას არაფერსა ვგრძნობთ. უკეთუ ჩვენში რამე ეთვილიყო სომხისა, შეიძლება სხვისთვის დაგვეფარა, მაგრამ ჩვენს თავს კი ვერ დავუმალავდით, რადგან გრძნობა და გული მუდამ ამას გვამხელდა და ვერას გზით ვერ შევიძლებდით ამნაირის მაყვედრებელის ხმის აცილებას. ესე რომ არ ყოფილიყო, ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენვე ადვიარებდით ჩვენს თავს სომხად; ადარც კი დაგვჭირდებოდა ახლად მოვლენილ სომხის მწერალთ გაუგებარი ქადაგება ამ საქმის თაობაზე».

***

ყოველი შეგნებული ერი ერიდება სულის გადაგვარებას, მაშასადამე იბრძვის მისი სახის, ანუ თავისი ვინაობის დასაცველად. ჩვენ კი არ დავდევთ, თუმცა თავგამოდებულ ჩვენ მოძმე რომის და სომხის წესის ქართველ კათოლიკეთა მაგალითი წინა გვაქვს. ჩვენი ვინაობის განმახასიათებელი, სხვათა შორის, ქართული საეკლესიო მხატვრობა და საეკლესიო ხუროთ-მოძღვრებაა. ამათი ძალი და მნიშვნელობა ერთობ ცხადია. ძველი ქართული ხატი, თუ ჯვარი და ძველი ქართული ტაძარი წმინდა ნიშნებია და მათი დავიწყება და უგულებელ ყოფა მორწმუნის თვალში სარწმუნოების, ხოლო საზოგადოდ შეგნებული ქართველისთვის საერო კულტურის გმობა იქმნება. ყოველმა ქართველმა იცის, რომ ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესია დაირღვა და მის მაგიერ ახალი შენდება. მაგრამ არც ერთი ქართველი ქაშვეთად არ შეიწყნარებს ახალ აშენებულს ტაძარს, თუ ქართული ხუროთმოძღვრების კილო არ ექმნა, რადგანაც ქართველის თვალში, ვისაც შერჩენია სული და ბუნება ქართველობისა, მადლი და შნო აქვს მხოლოდ ამ გვარ ტაძარს. თორემ ერთი ცხოველი მაგალითი მეტად განახასიათებს ამას. ქაშვეთის ეკლესია ახალი დანგრეული იყო, რომ მოსულიყო ერთი ქართველი დედაკაცი სალოცავად და იკითხებოდა, რა იქნა ქაშვეთიო? როცა უჩვენეს იქვე დროებით აგებული აგურის ეკლესია, არა ქართულ გუმბათიანი, გაკვირვებითა ჰსთქვა, ეს რა ქაშვეთია, ან რა მადლი აქვსო და წავიდა ქაშვეთის ნაფუძარზე სალოცავად.

ეხლანდელ საქართველოს ეკლესიას ხატები და ჯვრები მომეტებულ ნაწილად რუსეთში შეძენილი აქვს, მაგრამ მორწმუნე ქართველისთვის ეს ხატები და ჯვრები მხოლოდ სამკაულია ტაძრისა, ძველი ხატები და ჯვრები კი ნიშნებია ნამდვილ სასწაულ-მოქმედი და მადლიანი. ბეთანიის, ხახულის, ქვაბთახევის და სხვ. ღვთის მშობლის ხატები არა თუ ემბლემაა ქართული ქრისტიანობისა, არა-

დიდს იმედებს იძლევოდა. შორიდან იღებდა მონაწილეობას ჩვენს ლიტერატურაში. საზოგადოება მოელოდა. ჩამოვიდა, იმუშავა ორი წელი ან ცოტა მეტი დრო და შეჩერდა, გაჰქრა და გაცრუვდა იმედებიც...

ახალგაზდას დაარქვეს მგოსნის, ბელეტრისტის ან პუბლიცისტის სახელი, იმუშავა ორი წელი, დასტამბა ორიოდე რალაც ნაწარმოები და შეჩერდა, გაჰქრა, გაცრუვდა იმედებიც...

ახალგაზდამ იწყო საზოგადო მოღვაწეობა, მოიხვეჭა უცებ სახელი, მომავალ შესანიშნავ მოღვაწის სახელი დაარქვეს. იმუშავა ორი წელი, შეჩერდა, გაჰქრა, გაცრუვდა იმედებიც...

ვინ ჩამოსთვლის ყველა მაგალითებს აწმყოსას და ან ახლო წარსულისას!

ყველაფრის მიზეზი კი «მოუმზადებლობაა».

ახალგაზდობა რომ ემზადებოდეს, ამდიდრებდეს გონებრივ სალაროს უნივერსიტეტში ან სხვა უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს, მაშინ სულ სხვა გვარი სურათი დაგვატკბობდა.

საერთოდ არ ემზადებიან; თუ ზოგიერთები შედარებით მეტს შრომობენ ესენი იკრებენ იმდენ ძალსა, რამდენიც ჰყოფნით ძლიერ ცოტახანს. უკანასკნელნი ჩვენში შრომას უძღვნენ ორ-სამ წელს, მერე კი ერევიან ჭრელ ბრბოში, სადაც უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ რჩებიან.

თუ ახალ-გაზრდამ აქ არ ავარჯიშა სმენა, მხედველობა, გონება, ხელთ არ აიღო საჭირო იარაღი — ჩვენში — რასაკვირველია — დაკვირვების და ალღოს აღების უნარი მალე დაეკარგება და გაჰქრება.

იმედებს გვაძლევენ ცოტათი მომზადებულნი და იგინივე მალე მწარედ გვაგრძნობინებენ — თუ რა საშინელია «გაცრუებული იმედები».

ცოდვა არ არის, ახალგაზდა კაცი უნივერსიტეტის ქალაქში იყოს მოსწავლეთა რიცხვში ჩარიცხული, ორი-სამის წლის შემდეგ საზოგადო ასპარეზზე გამოსვლას აპირებდეს და სწავლა-ცოდნას ხოლერასავით გაურბოდეს?!.

საშინელებაა ეს ამბავი, დამღუპველი, გამათახსირებელი...

დროა შევგრცხვეს, დროა შუვუშინდეთ იმ «გაცრუებულ იმედებს», რომელთაც გულნატკენი შესცქერის ქართველთ მიდამო.

დროა აქედან ყველა ახალგაზდა საამდღეოდ მომზადებული მიდიოდეს საყვარელ ქვეყნისკენ...

დროა, — მეტი ყურადღება მივაქციოთ «მომავალს» და «გაცრუებულ იმედებს»...

შორს ზარმაცობავ, მცონარობავ აქაც და სახლშიც!!

მალაქია ბოლქვაძე.

# თეატრი და ხელოვნება

## „ლალატის“ წარმოდგენა.

წელს კიდევ სცადა ჩვენმა დასმა ამ ძნელის დრამის წარმოდგენა. უმთავრესი როლი, რომლის ასრულებაზედაც არის დამოკიდებული სიავ-კარგე წარმოდგენისა, ნ. ჩხეიძის ქალსა ჰქონდა მინდობილი. ზეინაბი მართლა ცენტრია პიესისა. ისაა უმთავრესად ჩავარდნილი საშინელს დრამატიულს მდგომარეობაში. ნება-უნებურად ჩავარდნილა საქართველოს მტარვალის ჰარამხანაში დედოფლად ნამყოფი და აუტანელად იტანჯება ჯერ ასეთის თვისის გათახსირებითა და მერე თვისის ქვეყნის მონობითა და გაუბედურებით. ზეინაბის შვილი უკვე დავაქაცებულია და ხალხსაც უცხოთა ბატონობით მოთმინება დაუკარგავს, მზადაა აჯნაყდეს და მონობის უღელი მოიშოროს. მემკვიდრე ტახტისა, სიკვდილს გადარჩენილი ანანიას უმაგალითო გმირობითა და საკუთარის შვილის განწირვით, სამეფო ტახტს დაიჭერს. მხოლოდ ძველი ლომი საქართველოსი, მარჯვენა ხელი მეფე თეიმურაზისა, მერყეობს, თითქმის გადავიწყებული აქვს სამშობლო და მისი საქმე. ამიტომ მთელი ძალ-ღონე ზეინაბისა მიპყრობილია იმად, რომ ოთარ-ბეგი გონს მოიყვანოს, აღუძრას კვლავ სიყვარული ქვეყნისა და აალებინოს ხელთ მახვილი «დასათრგუნვად მონობისა». ბუნება ზეინაბისა ორადაა, განპობილი: თუ ერთის მხრივ ეფერება და აძინებს ეჟვით აღსავსე სულეიმანს, მეორეს მხრივ სწვავს უშრეტელი ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა და მისის დახსნის სურვილი მტარვალთაგან იდეა-ფიქსად გადაჰქცევია. რაოდენი თვალთ-მაქცობა, რაოდენი სულის ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ ყოფაში შესძლოს თვისის საწადელის შესრულება, თვისის საოცნებო სურვილის განხორციელება!

და აი, ამ ძნელს როლს შეებრძოლა ნ. ჩხეიძის ქალი და, უნდა ვსთქვათ, თუ სავსებით არა, შესამჩნევად გაიმარჯვა. ბევრგან ნამდვილად გაიმსჭვალა დედოფალ თამარის გრძნობით და დაგვანახვა მისი ძნელი, ტრაგიკული მდგომარეობა. მონოლოგი თავისუფალ საქართველოზედ ცხოვლად წარმოსთქვა და ბევრს ტირილი მოუვიდა, როცა ჩამოუთვალა ოთარ-ბეგს, რა ცეცხლითაც იწოდა 20 წლის განმავლობაში. ჩვენ გვგონია, რომ ნ. ჩხეიძე ამ როლის საუკეთესო ამსრულებელად გადაიქცევა თავის დროზედ. მედიდურობა დედოფლისა, გრძნობა შვილის სიყვარულისა — საკმაოდ ემჩნეოდა. ნაკლებად ეტყობოდა მხოლოდ, ჩვენის ფიქრით, ის მოუთმენლობა, ის თადარიგიანობა, რომელიც უნდა ემჩნეოდეს იმას, ვინც გული და სულია პიესისა, ვინც უმთავრესი ჩარხია დრამის მთელის აგებულებისა.

ჩვენის აზრით, ნ. ჩხეიძემ კარგად წარმოსთქვა: «ხმა, მონავ!» ხოლო კილოზე ვერ წარმოსთქვა ის სიტყვა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს: «არა! ეგ ჩემი შვილი არ არისო».

ოთარ-ბეგი — გუნია ბევრად უკეთესი იყო ამ საღამოს, ვიდრე წინად და მით ძლიერ უადვილებდა ნ. ჩხეიძის ქალს თავის ძნელის როლის ასრულებას.

გაიანე — ლეჟავას ქალმა გაგვაოცა სწორედ. ასეთი გაიანე მეტად იშვიათია. მოხდენილი, ცქრიალა, დიდის ხელოვნებითა და ბუნებრივის სიმარტივით მოამბე გრძელის ამბებისა საოცარის ხმისა და სახის ცვალებადობით! სწორედ მ. საფაროვის ქალი მოგვაგონა. დიდი ნიჭი ეტყობა ლეჟავას ქალს ინჟენუესი და ეგრედ-წოდებულ სუბრეტების როლის აღსრულებისათვის.

ბ-ნი სვიმონიძე მშვენიერი ამსრულებელია დათოსი, მაგრამ როლი სულ დაჰვიწყებია და ალაგ-ალაგ მის მაგიერ იმპროვიზაციას გამოეკიდა, თავის სიტყვებით ამბობდა რეპლიკებს. ეს დიდი ცოდვაა იმისთანა დრამაში, როგორიც არის «ლალატი».

კ. ყიფიანი ვერ არის უნაკლულო ანანია-გლახა. აკლია ის სიმტკიცე ფოლადისა, რომელიც ბუნებაა ანანიასთანა გმირისა.

საბა ბერის ამსრულებელი თითქო ქეიფზედ ვერ იყო. სუსტად ითამაშა, ვიდრე შარშან. საზოგადოდ კი ამ როლს ბ-ნ ივანიძისთანა ამსრულებელი არა ჰყავს ჩვენს დასში.

შალიკაშვილს დიდი წარმატება ეტყობა. წელს ბევრად უკეთ შასრულა სულეიმან-ხანის როლი, ვიდრე შარშან.

ბესო — ვ. აბაშიძე წელს უფრო მოგვეწონა, ვიდრე შარშან, თუმცა კომიკად და ჩიკრიკად მისი დახასიათება, ჩვენის ფიქრით, შეცდომა უნდა იყოს. ბესო იგივე ანანია-გლახაა გმირობით, მხოლოდ იგი ხუმარაა ქილიკი ძ კილოიანის სიტყვა-პასუხის პატრონი.

ძველი თეატრალი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

4 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის სტესელისა: 1) 15 ოკდომბრის თარიღით: „უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ, რომ იაპონელები 12 რიცხვიდან საშინლად ესვრიან ყუმბარებს ჩვენს ციხე-სიმაგრეებსა ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. 13 რიცხვს ისინი წამოვიდნენ იერიშით ჩრდილოეთის სიმაგრეზე და ერთს ფორტზე, მაგრამ ჩვენ შრაპნელის სროლით გავაბნიეთ მტერი და იერიში უკუ ვაქციეთ. ჩვენ ერთი აფიცერი მოგვიკლეს და 70 ჯარის კაცი, დაიჭრა 8 აფიცერი და 700 ჯარის-კაცი. გუშინ გარდაიცვალა ტიფით ინჟინერი შტაბს-კაპიტანი სახაროვი, დალნის ქალაქპეტად ნამყოფი. ძნელია სათქმელად, ვინ უფრო ისახელა თავი — ყველანი გმირები არიან 2) 17 ოკდომბერი: «15 ოკდომბერს დეპეშის გამოგზავნის შემდეგაც კვლავ ყუმბარების სროლაა დიდის სიმძლავრითა». 3) 21 ოკდომბერი: «დიდო ხელმწიფევ! დღეს, დიდებულს დღეს ჩვენის სამშობლოსათვის, აღვავლინეთ ღვთისადმი ლოცვა «ურას» გრიალითა. ვულოცავთ მეფე-მამას და მუხლმოდრეკით შევსთხოვთ უფალს დღეგრძელობას თქვენის უდიდებულესობისა, ხელმწიფე დედოფალთა და ტახტის მემკვიდრისა. ჩვენი აღტაცება უფრო გადიადდა იმითი, რომ ყველა ცხრამეტი იერიში ამ დიდს დღეს — თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტახტზე ასვლის დღეს, — უკუ ვაქციეთ, და უკუ ვაქციეთ იმ დღეს, როდესაც მტერი ჩვენი — იაპონელი — დღესასწაულობს თავის მიკადოს დაბადებასა. ამ დღისთვის იყვნენ შეფიცულნი აეღოთ ციხე, მაგრამ ღმერთი ჩვენკენ არის».

— უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა 3 ნოემბრის თარიღითა: „დილის 8 საათზე, 2 ნოემბერს, სოფ. ლინშიპუსაკენ მტერმა წამოიწია, მაგრამ გავაბრუნეთ. ესე 11 საათზე საღამოთი მტერმა თოფის სროლა ასტეხა და ისროდა საათ ნახევარს. ჩვენ ოთხი ჯარის კაცი დაგვიჭრეს. 2 ნოემბერს მსურველთა რაზმმა, პორუჩიკ ოსტაპენკოს უფროსობით, საფარი გააკეთა. თავის წინ გაუშვეს 32 ქვეითი დრაგუნი, რაზმს უნდოდა ყველანი ტყვეთ წაეყვანა, მაგრამ რაკი მტერმა წინააღმდეგობა გასწია, ერთი ნაწილი იაპონელთა ამოხოცეს, ზოგი დასჭრეს, ხოლო სამი ტყვედ წამოიყვანეს. იაპონელებს მოეშველა როტა, მაგრამ ჩქარის სროლით შეაყენა რაზმმა როტის წინ სვლა და ჩვენები მშვიდობიანად და უზარალოდ დაბრუნდნენ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

**ჩიფუ.** (რეიტ.). გემ «რასტოროპნის» უფროსმა უარი განაცხადა რაიმე ცნობების მიცემის შესახებ, მაგრამ სთქვა, რომ რაც დავალებული მქონდა, შევასრულეო. პორტ-არტურიდგან შუაღამისას გამოვედი, თან საჭირო დეპეშა მომქონდა, გზაში ხელს მიწყობდა ძალიან ღამის უკუმი სიბნელე. მალე იაპონიის ნაღმიანი გემები დამედევნენ უკან, მაგრამ, რადგანაც ჩემი გემი ბევრად უფრო მსწრაფლ-მავალი იყო, ვერ დამეწივნენ და უვნებლად შევასწარ ნავთსადგურში შემოსვლა. ჩიფუში მყოფი ჩინეთის კრეისერი «ხაიუნგი» გვერდში ამოუდგა «რასტოროპნი»-ს და კაპიტანი ცინი მცირე ხანს ესაუბრა რუსის გემის უფროსს. გემზე ავიდა აგრედვე ამერიკის ადმირალის ფოლგორის ადიუტანტი უენრეიდი. ცინმა გადასცა გემის უფროსს, რომ შეგიძლიანთ 24 საათი ნავთ-სადგურში დაჰყოთ, ხოლო შემდეგ უეჭველად იარაღი აჰყარეთ გემს და ან გაშლილ ზღვაში გადითო. ამის შემდეგ «რასტოროპნი» ნავთ-სადგურის სიღრმეში შევიდა და ღუზა ჩაუშვა. ამავე დროს რუსეთის ვიცე-კონსულიც მოვიდა და საჭირო დეპეშები თან წაიღო. გემზე მყოფი აფიცრები, საზოგადოდ, ცოტას ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაინც გვაუწყეს, რომ პორტ-არტურის მდგომარეობა ეხლაც ისეთივეა, როგორც ამ ორის თვის წინად იყოო. «ბაიანი»-ს და-

---

მედ ძვირფასი განძი ქართული მხატვრობისა და ოქრომჭედლობისა, წმინდა კაცის წმინდა მასალით შექმნილი. ასე რომ, ძველი სახელოვანი ტაძრების პლანებით ახალი ეკლესიების შენება და გათქმული ხატების კოპიების გარცელება არა თუ აღაორძინებს ქართულ ხელოვნებას, არამედ საწადელიც უნდა იყოს მათთვის, ვინც ერის სულიერ მწყემსად არიან მოწოდებულნი. ამიტომ არ შეგვიძლია, სიამოვნებით არ მივეგებოთ ქაშვეთის ამშენებელ კომიტეტს, რომელიც ქაშვეთს აშენებს სამთავისის ტაძრის პლანით და განუზრახავს ზოგიერთი ძველებური შესანიშნავი ხატის პირის გადმოხატვინებაც, რომ მით შეამკოს ტაძარი.

***

ეჭვი არ არის, ქართული ტაძრების მოხდენილობა, საზოგადოდ საეკლესიო ხუროთ-მოძღვრების თავისებური შნო, რომელსაც მიუქცევია სპეციალისტების ყურადღება, ქართველი ერის ნიჭის ბრალია. მისივე ნიჭის ბრალი უნდა იყოს აგრეთვე თვითონ მის შვილთა ასეთი მომხიბლავი აგებულებაც, თვალ-ტანადობა, რომელიც საარაკოდ გადაქცეულა. ზოგიერთები ამბობენ, ქართველის სილამაზისა და კარგი მოყვანილობის მიზეზი თვითონ ბუნება და მისი წმინდა ჰაერია, რომელთა წყალობაც ქართველი ასე ერთგულად შეჰკედლებია, თორემ ქალაქად ცხოვრება ჩვენებურ სომხებსავით გააუშვერებდაო. რამდენად მართალია ეს მოსაზრება, მის გამოძიებას არ გამოუდგებით. ამას კი ვიტყვით, რომ იმ გარემოებაში, როგორითაც ქართველები ცხოვრებენ, ბევრი სხვა ხალხი იმყოფება, მაგრამ ქართველისთანა თვალად და ტანად ლამაზი ხალხი დედამიწის ზურგზე იშვიათია. ცხადია, ეს იშვიათი მოდგმა თუ ბუნების ნაყოფია, თვითონ ქართველსაც წილი უნდა ედოს მის განვითარებაში. პირველი იყო აღზრდა ფიზიკური და გვარიშვილობა, რომელიც მარტო ხარისხს არ მოასწავებდა. ვინ არ იცის, რა ზრუნვით უვლიდნენ ჩვენი დედები და ზოგან, სადაც აკვანი არ გადავარდნილა, ეხლაც უვლიან თავიანთ პატარებსა. აკვანში სახმარებელი მუხლის ბალიში და ბლითისებური ბალიში სასტუმლად და ყურ-და-შუბლ-საკრავი ნუ თუ არ იყო შემოღებული იმიტომ, რომ ბავშვს მუხლები გამართული, თავი კარგად მოყვანილი და ყური და შუბლი სწორე ჰქონოდა? დილაობით ბავშვის პირის დაბანის შემდეგ მისი ცხვირის ამოწევა, თუ პაჭუა ჰქონდა, და საერთოდ ტუჩის ზელა, თუ გამოწევა ემჩნეოდა, ნუ თუ არ იყო დედის მზრუნველობა, რომ შვილი ულამაზო არ გამოსულიყო და ცხვირის და ტუჩის სიმახინჯე დაჰკარგოდა?

გვარიშვილობაც იგივე ჯიში და ჯილაგი იყო. ასე რომ, ჯიშიანი გვარი არასოდეს არ შეუღლდებოდა უჯიშო გვარიშვილთან. თუ არ ამით, არაფრით აიხსნება ის გარემოება, რომ დღესაც ზოგიერთი კეთილშობილთა გვარეულობანი თავწაყრით ყველა თვალადები და ტანადები არიან. თუ ცხენი კბილით გაისინჯებოდა, გვარიშვილობას, სხვათა შორის, ბუდეშური ფრჩხილებიც ხატავდა. ეხლა, როცა ნივთიერი ინტერესი გაბატონებულა შეუღლების საქმეში, ხშირად ნახავს კაცი, რომ გვარიშვილს ვინმე უგვარო, მაგრამ მდიდარი, ეშოვოს მეუღლედ. ცხადია, ამის შემდეგ გვარიშვილობა, როგორც ჯიში და ჯილაგი, მოისპობა და შეიქმნება, სანამ დარი უდარებს, გამომხატველი მარტო ოდენ ხარისხოვნებისა. ასეთს გვარიშვილობის ნაყოფს დღესაც ვხედავთ ზოგჯერ. სისხლის შერევა და ისიც არა წმინდა თესლისა, იმდენად აშკარაა, რომ იქ, სადაც კაცი ქართულ სიტურფესა და სიმშვენიერეს ელოდა, თვალში ეჩრება სიტლანქე და სიმახინჯე. როგორც კარგი მეჯახე უვლის და აშენებს კარგი ჯიშის საქონელსა, სწორედ ძველი ქართველიც იმის ზრუნვაში იყო, მის ჯიშსა და ჯილაგს სიკეთე გვარისა არ დაჰკარგოდა და, თუ არ გააჩნდა, მართლა გაკეთილშობილებულიყო. რად არის ქართველი ლამაზი და ლამაზად მოყვანილი, ანუ თვალ-ტანადი? რამ შეუწყო უმთავრესად ხელი გვარის ნამდვილ გაკეთილშობილებას, გააზნაურებას და კერძოდ ამ საქმეში რა წილი აქვს მშვენიერების მოყვარეობას, რაც ქართველმა ასე საკვირვლად გამოიჩინა საეკლესიო ხუროთ-მოძღვრებასა, საერო მუსიკასა და პოეზიაში? ეს იმდენად საინტერესო საგანია, რომ ღირსია, შეიქმნეს განსაკუთრებით გამოკვლევისა და ყოვლის უწინარეს კი საჭიროა გამოირკვეს, როგორი იყო ფიზიკური აღზრდა ქართველისა დაბადებით მრყოლებული და, თუ შესაძლებელია, ჩასახვიდანაც, რადგანაც ჩანასახის ზრდასა და განვითარებას არა ნაკლები მოვლა და ზრუნვა უნდა, ვიდრე დანაბადისას.

***

იმ ქვეყანაში, რომელსაც შეუქმნია ისეთი მადლიანი საეკლესიო ხუროთ-მოძღვრება, რომელიცასაზრდოებს მადლიანი თვალ-ტანადობით ისე გათქმულ ხალხს, ნუ თუ მოღვაწეთა მოქმედებასაც თან მადლი არ უნდა დასდევდეს? დიაღ, მადლი უნდა დასდევდეს, მაგრამ სამწუხაროა, როცა მათ მოქმედებას მადლის მაგიერ ასულდგმულებს ალღო სიმდაბლისა. უფრო სამწუხაროა კიდევ, როცწ ასეთ საზიზღარ თვისებას უბრალოდ სწამებენ გათქმულ მოღვაწეს და ამას რომ არ სჯერდებიან, თავს იკალათებენ ნაბეჭდ ორგანოში, რომელიც მათ ცილის წამებას საჯაროდ აცხადებს და თვითონ კი მდუმარებს, თითქო თანახმა იყოს.

ბ. ი. გომართელი «ცნობის ფურცლის» პირით (№ 2658) გამოეხმაურა ქართველ საზოგადოებას, ნ. ცხვედაძეს ტფ. მებაღეობის კურს-დასრულებულის მოწაფის ნოე გელაძისათვის დ. სარაჯიშვილის სტიპენდია მიტომ არ მიუცია, რომ გურული ყოფილა და, თუ ეს მართალია, ასეთი საქციელი არ ეკადრება იმ კაცს, რომელსაც საზოგადო მოღვაწეს ეძახიანო. ნოე გელაძე მოწიფული ვაჟკაცი უნდა იყოს და ბ. ი. გომართლის ვექილობა, თუ ექიმიც არის, მისთვის რა საჭირო იყო, ვერ წარმოგვიდგენია. ხოლო თუ გომართელმა იკისრა ვექილობა, არ უნდა დავიწყებოდა, რომ ვექილს ჰმართებს, სიმართლეს გამოესარჩლოს და არა ცილის წამებას. გელაძის საჩივრის უმართლობა ბ. ნ. ცხვედაძის წერილმა, რომელიც «ცნობის ფურცელში» (№ 2659) დაიბეჭდა, აშკარად დაამტკიცა. ბ. გომართელი, იმედია, ეხლა მაინც დარწმუნდება, რომ გათქმულის ქველმოქმედის დ. ზ. სარაჯიშვილის სტიპენდიების გამნაწილებელ კომიტეტს და ამ კომიტეტის წევრს ბ. ნ. ცხვედაძეს ალღო სიმდაბლისა არ ამოქმედებს, არამედ გულწრფელი წადილი სტიპენდიები ერთნაირად დაურიგოს საქართველოს ყოველი კუთხის ქართველ ახალგაზდას, მხოლოდ მაღალი სწავლის შეძენის მსურველს, რომელთა შორის სწორედ გურულებს რიცხვით საპატიო ადგილი სჭერიათ. ასე რომ, იმერლებს გარდა, რომელნიც სტიპენდიატებად ითვლებიან, წელს კიდევ შეხვედრიათ სტიპენდიები: ივ. გობეჩიას, თ. სვიმონ აბაშიძეს და ვ. არდიშვილს, ხოლო დროებითი დახმარება: რამიშვილს და ლომთათიძეს.

ზემოთ მოყვანილი საჩივარი ნოე გელაძისა, რომელსაც ბ. გომართელი დიდის რიხით გამოესარჩლა, მაგონებს აგრედვე ამ ზაფხულში გავრცელებულს ერთ საზიზღარ ჭორს, ვითომც ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი იმერელ მასწავლებლებს სკოლიდან ერეკებოდეს. ამ ჭორის საბაბად, შესაძლოა, გამხდარიყოს ის გარემოება, რომ ამა წლის ენკენისთვიდან სკოლის მასწავლებლობას თავი გაანება ორმა იმერელმა, რომელთაგან ერთი, როგორც დამსახურებული მასწავლებელი და სკოლის მმართველი, უჩვეულო პენსიითაც კი დააჯილდოვა კომიტეტმა. უთუოდ ეს იყო, თორემ საქმეს რომ დავეკითხოთ, იგივე აზრი დაისკვნის, რაც ბ. ნ. ცხვედაძის წერილმა გამოააშკარავა დ. სარაჯიშვილის სტიპენდიათა განაწილების საქმისა, ე. ი. ერთნაირი გუება ყოველი ქართველისა, სარწმუნოებისა, წოდებისა და სადაურობის განურჩევლად. მაგალითად, სკოლის 1903 წლის ანგარიშით 48 სკოლის მოსამსახურე პირთა შორის შარშან იყო 18 იმერელი და 17 ქართლელი და კახელი; ხოლო 680 მოწაფეთა შორის 105 იმერელი, თუმცა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წესდების ძალით, სკოლა დაარსებულია უპირატესობით ამ საზოგადოების ღარიბ წევრთა შვილებისთვის, რაკი სკოლის შესანახ ხარჯს თვითონ საზოგადოება უძღვება. ნუ თუ ეს ციფირები მომასწავებელია რაიმე პარტიკულარიზმისა, ანუ თემობრივის მამულიშვილობისა, რომლის აღმოჩენასაც, ასე ცდილობენ ზოგიერთი ვაჟბატონები. ან კი რა საკადრისია ჩვენებურ მოღვაწე პირთათვის მოძმეთა შორის განხეთქილების ჩამოგდება, ძველებური ჩვენი დამღუპველი გვართა ბრძოლის აღდგენა, როცა არა თუ ჩვენ მოძმე სომხებთან, არამედ კავკასიის დანარჩენ ხალხებთანაც გვმართებს მშვიდობა, მეგობრობა და ერთობა, თვინიერ რომლისა ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმატება, როგორც ჩვენი, ისე მათი.

ვინა სთქვა, დასავლეთ საქართველოს შვილი მის აღმოსავლეთში პატივით არიყოს მიღებული ყველგან, თუ ეს პატივი მას თავისი პირადი ღირსებით დაუმსახურებია. აღმოსავლეთ საქართველოში რომელი ჩვენებური დაწესებულებაც უნდა აიღოთ, იმერლებს თითქმის ყველგან მიესვლებათ და მოღვაწეობასაც ეწევიან. ქართლელის გულკეთილობა სწორედ ზღვაა და მისი საისტორიო შეცდომაც ეს არის, რომ მისი გულ-ძვირობა ჯერ უცხოსაც არ უნახავს, ზოგჯერ ნამდვილ მოსისხარ მტერს, რომელიც მეგობრის სახელით შემოპარვია.

კლდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუპვის შესახებ მათვე განაცხადეს, რომ გემს მხოლოდ მანქანები დაუზიანეს ყუმბარებით და ეხლა შესაკეთებლად არისო. კრეისერები პორტ-არტურიდგან ყოველდღე გამოდიან გაშლილ ზღვაში, ხოლო ჯავშნიანი გემები კი ნავთსადგურში რჩებიან. როდესაც კორესპონდენტებს გემზე ასვლის ნება დართეს, მათ შენიშნეს ხორცის დიდი ნაჭერი, რაც იმას ჰმოწმობს, რომ პორტ-არტურში სურსათი საკმარისად აქვთ.

**ტოკიო**, 2 ნოემბერი. (რეიტ.). მახეზე საქმეთა მდგომარეობა უცვლელად არის. აქაური სამხედრო მოხელენი ჰფიქრობენ, რომ ის პოზიციები, რომელნიც რუსებს უჭირავთ, საშიშია თვით რუსებისთვის, რადგანაც არ შეუძლიანთ სატევი მოქმედება დაიწყონ, ხოლო უკან დაწევა კი მეტად საჭიროა მათთვის.

**ტოკიო**. (რეიტ.) მოლაპარაკებაა გამართული საფრანგეთისა და იაპონიის მთავრობათა შორის იმაზედ, რომ საფრანგეთმა დაარღვია ნეიტრალიტეტი, რადგან ბალტიის ესკადრას ნება მისცა თავისუფლად გარჯილიყო საფრანგეთის ნავთ-სადგურებში. მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა. იაპონიის მთავრობა მდუმარებს, ხოლო ნაწილი ჟურნალ-გაზეთებისა და საზოგადოებისა ჰკიცხავს საფრანგეთის მთავრობის საქციელს.—3 ნოემბერს იაპონიის პირველ მინისტრსა და გარეშე საქმეთა მინისტრს ხანგრძლივი ბჭობა ჰქონდათ, რა პოლიტიკას უნდა ადგეს იაპონია კორეასა და მანჯურიაშიო. პარლამენტი შეიკრიბება და მთავრობამ უნდა განმარტოს მის წინაშე ამ პოლიტიკის ხასიათიო.

**ლონდონი**. (რეიტ.). გულლის გამოძიება ჯერ კიდევ არ გათავებულა. სათევზაო გემის „გულლ“-ის მეზღვაურთა უფროსი ამტკიცებს, რომ დავინახე იმ ღამეს რაღაც შავი მასსა, გაუნათებელი. ჯერ ნაღმოსანი მეგონა, მაგრამ მალე გავარკვიე, რომ საშიკრიკო გემი «ალფა» იყო. სანთლები გაექროთ იმ გემზედ. ჩემს სიცოცხლეში ამის მეტად არ მინახავს, რომ სათევზაო გემზე სანთლები გამქრალი ყოფილიყოს. მოწმემ დასძინა, რომ დავუძახე ჩემს ამხანაგს, «აიგერა ნაღმოსანი-მეთქი». რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი შეეკითხა და იმანაც უპასუხა: დარწმუნებული არა ვარ, მართლა გემი «ალფა» იყო თუ არა, რადგან ძალიან მალე მიმეფარა თვალთაგანო. «გულლის» ინჟენერმა სთქვა, გემის უფროსმა, როცა ყუმბარების სროლა ასტყდა, ჯერ დაიძახა: «აი ნაღმოსანიო» და მერე—«არა, სათევზაო გემიაო».

**მუკდენი**. ხმა არის, რომ ინკოუში გადასხდნენ ხმელეთზედ 30,000 იაპონელნი და ამოდენივე ბიძივოში. ჩვენები ჰფიქრობენ, რომ მოსალოდნელია გარს შემოგვიარონ იაპონელებმა მარჯვენა ფრთისმხრივაო, რათა გზა გადაგვიჭრან ტელინისაკენაო. დაჟინებით გაიძახიან, რომ მართლდება ხმა კუროკის სიკვდილის შესახებაო.

**მუკდენი**. (რეიტერი) იაპონელნი ჩალიშობენ თავიანთ გამაგრებულ ადგილების უკან. დიდი გადაყვან-გადმოყვანა სწარმოებს ჯარებისა აქეთ იქით. რუსნი წინასწარმეტყველებენ, რომ მალე ბრძოლა მოჰხდებაო. კორესპონდენტებსა და სამხედრო აგენტებს ახლა უფრო მეტი თავისუფლება აქვთ მოქმედებისა.

### საღამოს დეპეშები.

5 ნოემბერი.

**მინსკი**. სახალხო უნივერსიტეტის მაგიერ გადაწყდა დაარსდეს მუდმივი კურსები, რომელზედაც უნდა იკითხონ მდაბიურად სამეცნიერო ლექციები.

**შანჰაი**, (რეიტ.) მეამბოხეებმა უკან დააწევინეს მთავრობის ჯარებს კუანსის პროვინციაში და ხელში ჩაიგდეს ხუთი უმთავრესი ქალაქი.

**ვაშინგტონი**. (რეიტ.) ვენაში მყოფი ამერიკელი ელჩი დეპეშით იუწყება, რომ ავსტრიის მთავრობამ გამოაცხადა, მზადა ვარ მონაწილეობა მივიღო ჰააგის მეორე კონფერენციაშიო. ამ სახით, ავსტრიამ პირველმა მიიღო ოფიციალურად რუზველტის მოწოდება.

**მუკდენი**. ჩინეთის გენერალმა მამ გაამრავლა რიცხვი თვისის ჯარებისა და კვლავ დაჰნიშნა იაპონელი აფიცრები ინსტრუქტორებად. მისი საქციელი საეჭვოა. რუსნი გაძლიერებულს ღონისძიებას იღებენ, რათა თვალ-ყური ადევნონ ამ გენერალს.

**მუკდენი**, 4 ნოემბერი (საკ. კორესპ.). პოზიციებზედ სიწყნარეა. იაპონელთა და ჩვენ შორის 600 ნაბიჯი მანძილიღაა. 4 ნოემბერს მთავარ-სარდალმა დაათვალიერა პოზიციები, ჯარები ჯან-საღად არიან. თბილი ტანისამოსი განუწყვეტლივ ურიგდებათ.

**ტოკიო**. აქ ხმა გავრცელდა, ვითომ მთლად რუსთა ესკადრამ სცადა გამოსვლა პორტ-არტურის ნავთსადგურიდან ნამქერის დროსაო, მაგრამ იძულებული იყო უკანვე დაბრუნებულიყოვო.

**პეტერბურგი**. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და უბოძა ორასი თუმანი საკუთარი ფული ჯარის-კაცის რიაბოვის სახლობას. აქედან ასი თუმანი უნდა მოჰხმარდეს სკოლის დაარსებას სოფელ ლებედევკაში. სკოლა რიაბოვის სახსოვრად იქმნება დაარსებული.

**ვილნო**, 4 ნოემბერი. გაემართა სარდალი მეორე ლაშქრისა გენ.-ად. გრიპენბერგი. გააცილეს სამხედრო და სამოქალაქო მთავრობის ყველა წარმომადგენლებმა, სამღვდელოებამა და დიდმა სიმრავლემ ნაცნობთა და საზოგადოებისამ. მიუძღვნეს შვენიერი დროშა, რომლის ტარზედაც ათასი წარწერა იყო სახელისა და გვარისა. გრიპენბერგი ეამბორა დროშას, დროშის ჯვარზედ მიუთითა დამსწრეთა და სთქვა, ვიბრძვით არა მარტო რუსეთისათვის, არამედ საქრისტეანოსათვისაც წინააღმდეგ წარმართობისაო. გაცილებას დიდებული ხასიათი ჰქონდა. ერისა სიმრავლის აღტაცებულმა «ურამ» გააცილა მატარებელი.

**დაძიაპუ**. ხმაა, რომ იაპონელნი აშენებენ ჩვენ მიერ დანგრეულს ლიაოიანის სადგურს. მუშებად ჩინელებს იწვევენ ინკოუსა და ლიაოიანს შორის დადის სუბუქი მატარებელი. მოაქვთ უფრო სურსათი და მიჰყავთ ავადმყოფნი და დაჭრილნი. მოწინავე პოზიციებზე ყოველდღე ბრძოლაა. 1 ნოემბრის ღამეს თავგამოდებულთა რაზმმა დაამარცხა იაპონელთა სადარაჯო რაზმი და მის გამოსაცვლელად მოსულნი დარაჯნი. 8 იაპონელთა გვამი დარჩა ბრძოლის ადგილას. ჩვენ ზარალი არა მოგვსვლია-რა.

**ჩიფუ**. (რეიტ.) ნაღმოსან ««რასტოროპნის» ლოცმანმა სთქვა, რომ პორტ-არტურთან განუწყვეტელი ბრძოლაა ღამღამობითაო. იაპონელთა თხრილები ისე ახლოა ჩვენს თხრილებზე, რომ ჯარისკაცებს ერთმანეთის ლაპარაკი ესმით. ხან და ხან შესწყვეტენ ხოლმე თოფის სროლას, ერთმანეთს პაპიროზსა სთავაზობენ და მაღლა ამოყიან მიწურ საფრებიდან.— გემი —ქსენონი ისეთ თავ-თხელშია ჩაძირული, რომ ავადმყოფნი ზედ დასტოვეს. იაპონელნი აღმოსავლეთ ნავთსადგურს შესანიშნავის სისწრაფით ესვრიან ყუმბარებს. ამას წინად რუსებმა შეჰნიშნეს ჩინელი, რომელიც ნავთსადგურთან დასეირნობდა და რაღასაც ანიშნებდა ხელცახოცით იაპონელებს ყოველ გამოსროლის შემდეგ. ეს ჯაშუში ჩამოხრჩობილ იქმნა.

**პეტერბურგი**. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 5 ნოემბრის თარიღით: 4 ნოემბერს ღამით, იაპონელთ შემოგვიტიეს და წამოვიდნენ «ხიან გორაკი»ს ანუ პუტილოვის მთის წინამდებარე ერთ-ერთ ადგილისაკენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ».

**ტიანძინი**, 4 ნოემბერი. (რეიტერი). რუსები განუწყვეტლივ იერიშებით მიდიან იაპონელებზედ პატარ-პატარა რაზმებით და ყოველ ღამე ციხიდგან რამდენჯერმე გამოუხტებიან ხოლმე, ისვრიან ხელით ყუმბარებს იაპონელთა ტრანშეიებში, აგრეთვე დიდის თავგანწირულებით მიდიან იერიშით მოწინავე სიმაგრეებზედ.

იაპონიის ფლოტი ვერ ეხმარება ჯარს ყუმბარების ლაშენის დროს. ტოგომ ბრძანება მიიღო—გემებს გაუფრხილდითო. იაპონელები მიწას ისევა სთხრიან, მხოლოდ აღმოსავლეთი ძიგუანისა და ერლუშანგის მოწინავე სიმაგრისაკენ და ოუსუბისაკენ 203 მეტრზედ. უმთავრესი შინაგანი სიმაგრენი ჯერ უვნებლადაა. ჯერ იაპონელთ პანლუნგის გარე ფორტიც კი არ აუღიათ. რუსებს 8 პროჟექტორი აქვთ და კარგადაც სარგებლობენ იმით. ყოველღიმე ექვსჯერ მაინც გამოუხტებიან ხოლმე თავგანწირვით რუსები. იაპონელთ რამდენჯერმე გაუცრუვდათ იმედი. ახალგაზდა აფიცრები დრტვინავენ, რატომ ჩვენ არ ჩაგვაბარეს ციხის აღების საქმეო. შესაძლებელია, რომ იაპონელებს არც ისე დაეზიანებინოთ რუსუს გემები, როგორც აზვიადებენ. მძიმე ზარბაზნები ორსავე მხარეზედ ზიანდება. სროლა არეულ-დარეულათაა.

**ვაშინგტონი**. (რეიტ.) ჩიფუში მყოფი ამერიკის კონსული დეპეშით იუწყება, რომ იაპონელთა სამი კონტრ-ნაღმოსანი ზღვაში იმყოფება ჩიფუს მაღლობზედაო. «რასტოროპნის» მეზღვაურთ იარაღი და სურსათი გადასცეს ჩინეთის კრეისერს.

**ტიანძინი**, 4 ნოემბ. (რეიტ.) 30 ოკდომბერს პორტ-არტურს ისევ დაუშინეს ყუმბარები. საკმაოდ დიდი ბრძოლა მოჰხდა. იაპონელთა ალყის მოქმედება ნელნელა მიდის წინ. ამ უკანასკნელ დროს იაპონელთა ზარალი დიდაა.

**ტიანძინი**, 5 ნოემბ. (რეიტერი). რუსებმა მუკდენთან თავი მოუყარეს 250,000 მეომარს. კავალერია უძრავადაა.

იაპონიის რკინის გზათა ექსპერტების აზრით, მანჯურიის რკინის გზა ვერ შესძლებს რომ მომავალ გაზაფხულამდე ბრძოლის ველზედ ნახევარი მილიონი რუსის ჯარი მიიყვანოს. უკანასკნელის ცნობებით, იაპონელნი აწვებიან მუკდენს და ამ ჟამად 12 მილის სიშორეზედ-ღა სდგანან. ზირბაზნების ხმა მუკდენში ისმის. თოფის სროლის ხმა კი იმას ამტკიცებს, რომ კუროკი იერიშით მიდის აღმოსავლეთით.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

29 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,35 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 89½ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415¾ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 265¾ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---


# განცხადებანი

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი — 1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თ ი თ ო მ ა ნ ე თ ი ს გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა

კნ. ნინო ელიზ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.

---

# სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შ ე ს ა კ ე რ ა დ

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

## „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| **მირითადი** | **თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგ** | **გო თანხ** . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გაიგზავნის როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთის ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟების ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, დაბნოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

## სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარუაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს აწ დ ო მ ი.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

ექიმი ქალი

**მარიამ ნიკოლოზის ასული**

## ზაალაშვილისა

ადავიდა ტფილისიდგან ქალაქ გორში, ერისთავის სახლებში.

(2—2).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распрстр. грамотности.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)


Дозволено цензурою Тифлисъ, 5 ноября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.